

თიბისი ბანკი ქანდაცვის სფეროს უპრეცედენტო პირობებითა და შელაპთიანი სესხებით დააფინანსებს

პრესრელიზი

თბილისი, 13 აპრილი, 2011წ. – დღეს, 13:00 საათზე, თიბისი ბანკის სათავო ოფისში გაიმართება პრესკონფერენცია და ახალი საბანკო პროდუქტის პრეზენტაცია. თიბისი ბანკი იწყებს ქანდაცვის სფეროს დაფინანსებას შეღავათიანი სესხებითა და უპრეცედენტო პირობებით და აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით მიმდინარე, ქანდაცვის სისტემის განმტკიცების პროგრამასა (HSSP) და თანამედროვე ენერგოეფექტური ტექნოლოგიებისა და განათების ინიციატივასთან (NATELI) ერთად, მომხმარებელს სთავაზობს ახალ, უნიკალურ პროდუქტს, საქართველოში საავადმყოფოებისა და კლინიკების მშენებლობის, რემონტისა და აღჭურვის დაფინანსებისთვის.

პრესკონფერენციას გაუძღვებიან: თიბისი ბანკის პრეზიდენტი ვახტანგ ბუცხრიყიძე, USAID-ის მისიის დირექტორი ჯონათან ჯონლი. ასევე, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ანდრია ურუშაძე.

ახალი სასესხო პროდუქტი წარმოადგენს ტექნიკური დახმარებისა და შეღავათიანი დაფინანსების კომპლექსურ შესაძლებლობას ქანდაცვის სფეროში მოღვაწე იურიდიული პირებისთვის, რომლებსაც სურვილი აქვთ ააშენონ, ან გაარემონტონ სამედიცინო დაწესებულება, შეიძინონ სამედიცინო აპარატურა, ან საჭირო ინვენტარი.

თიბისი ბანკი გთავაზობთ თქვენი ბიზნეს ინტერესების გათვალისწინებით, ინდივიდუალურ მიდგომას და ეფექტურ საჭიროებებზე მორგებულ, შეღავათიან პირობებს. ამასთან, თითოეული მსესხებელი, დამატებითი პირობის სახით, ისარგებლებს განსაკუთრებული უპირატესობებით.

კერძოდ: "ქანდაცვის სისტემის განმტკიცების პროგრამის" (HSSP) ინიციატივით, თქვენ შეგიძლიათ, მალაქვალთიფიციური სპეციალისტების დახმარებით, შეიმუშაოთ ბიზნეს გეგმა, მიიღოთ პროფესიული ეკონსულტაციები და გაიაროთ ტრენინგები გარემოს დაცვისა და რეგულაციების სფეროში.

პროექტი "თანამედროვე ენერგოეფექტური ტექნოლოგიებისა და განათების ინიციატივა" (NATELI) კი გთავაზობთ ენერგოაუდიტის/ენერგოაპასპორტის შემუშავებას, საავადმყოფოს შენობის, არქიტექტურის, განათებისა და გათბობის სისტემების შესწავლაზე დაყრდნობით, ტექნიკურ-ეკონომიკური ანალიზის მომზადებასა და, შესაბამისად, ეკონომიკურად გამართლებული, ენერგოეფექტური ტექნოლოგიების განსაზღვრას, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს თქვენს ენერგოდანახარჯებს.

ახალი, ერთობლივი საკრედიტო პროდუქტი ხელს შეუწყობს საქართველოში ქანდაცვის სფეროს განვითარებას და საქართველოს მოსახლეობისთვის თანამედროვე, მაღალხარისხიანი სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობას.

- ◆ ფიზიკური პირების მომსახურება;
- ◆ კორპორატიული კლიენტების მომსახურება;
- ◆ საინვესტიციო საბანკო მომსახურება;
- ◆ პირველი ქართული ბანკი, რომელსაც ISO ხარისხის სერტიფიკატი მიენიჭა;
- ◆ თიდერი დეპოზიტების ბაზარზე
- ◆ თიდერი ტექნოლოგიურ სერვისებში;
- ◆ კო-ბრენდ პროდუქტების ინოვაციური საბანკო სფეროში;
- ◆ ახალი ტიპის ულტრათანამედროვე საბანკო ფილიალების "მომსახურება ბარიერების გარეშე" ინოვაციური საქართველოში;
- ◆ ფლობს წამყვან პოზიციებს სხვადასხვა საფინანსო სფეროებში: ლიზინგის, საბროკერო და სადაზღვევო ბაზრებზე;
- ◆ პირველი ქართული კომპანია, რომელსაც საერთაშორისო რეიტინგი მიენიჭა;
- ◆ FitchRatings: B + and B
- ◆ Moody's: B 1 and Ba 3

სს „თიბისი ბანკი“ დაფუძნდა 1992 წ. და გამოირჩევა განვითარების წარმატებული ისტორიით. სტაბილურად ინარჩუნებს საბანკო სექტორში წამყვანი საფინანსო ინსტიტუტის პოზიციას. 2007 წელს თიბისი ბანკი საქართველოს ფარგლებს გასცდა და რეგიონალური განვითარება დაიწყო. ბანკის აქციონერები: IFC, DEG, EBRD, FMO, JP Morgan, Ashmore და ქართველი კერძო პირები.

მონაწილე მხარეები:

სს „თიბისი ბანკი“ – საქართველოს წამყვანი უნივერსალური ბანკი, დაფუძნდა 1992 წელს. თიბისი ბანკი ემსახურება როგორც, ყორპორატიულ, ასევე საცალო კლიენტებს და სთავაზობს მათ საბანკო პროდუქტების ფართო სპექტრსა და მომსახურებს მალაღ ხარისხს. ბანკის აქციონერები არიან: IFC, DEG, EBRD, FMO, JP Morgan, Ashmore და ქართველი კერძო პირები.

- პირველი ქართული კომპანია, რომელსაც საერთაშორისო რეიტინგი მიენიჭა;
- პირველი ქართული ბანკი, რომელსაც 18 ხარისხის სერტიფიკატი მიენიჭა;
- ლიდერი დეპოზიტების ბაზარზე
- ლიდერი ტექნოლოგიურ სერვისებში;
- კო-ბრენდ პროდუქტების ინოვაციური საბანკო სფეროში;
- ახალი ტიპის ულტრათანამედროვე საბანკო ფილიალების “მომსახურება ბარიერების გარეშე” ინოვაციური საქართველოში;
- ფლობს წამყვან პოზიციებს სხვადასხვა საფინანსო სფეროებში: ლიზინგის, საბროკერო, საინვესტიციო და სადაზღვევო ბაზრებზე;
- FitchRatings: B + and B
- Moody’s: B1 and Ba3

www.tbcbank.ge;

ტელ: 272727

თანამედროვე ენერგოეფექტური ტექნოლოგიებისა და განათების ინიციატივა (NATELI) - ხორციელდება აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს, თანადგომით კომპანია “Winrock International”- ის მიერ.

პროექტი ემსახურება ენერგოეფექტური ტექნოლოგიების გამოყენების სტიმულირებას საქართველოში. პროგრამის ძირითადი მიზანია დახმარება გაუწიოს საავადმყოფოებსა და საყოფაცხოვრებო სექტორს ენერგოეფექტური ღონისძიებების დანერგვასა და ენერგოდანახარჯების შემცირებაში, განახორციელოს შესაბამისი გარემოსდაცვითი ღონისძიებები, ხელი შეუწეოს მალაღკვალიფიცირებული ჯადრების მომზადებას ენერგოაუდიტის სფეროში, გაზარდოს საზოგადოების ინფორმირებულობა ენერგოეფექტური ტექნოლოგიების შესახებ და “BP-ჯორჯიასთან” ერთად უზრუნველყოს ენერგოავტობუსის ფუნქციონირება.

www.nateliproject.ge;

ტელ: +995 32 506343, 243434

ჯანდაცვის სისტემის განმტკიცების პროგრამა (HSSP) - ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) “ჯანდაცვის სისტემის განმტკიცების პროგრამის” (HSSP) მიზანია საქართველოს მოსახლეობის ხარისხიან სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და შეზღუდული სახელმწიფო რესურსებისა და კერძო სექტორის ძალისხმევის გამოყენებით, საქართველოში მიმდინარე ჯანდაცვის ფართომასშტაბიანი რეფორმების წარმატებულად განხორციელების ხელშეწყობა.

პროგრამის მიმართულებებია: სადაზღვევო ინდუსტრიის განვითარების ხელშეწყობა, სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლების შესაძლებლობათა განვითარება და მთავრობის მიერ ჯანდაცვის სფეროში განხორციელებული რეფორმების ხელშეწყობა.

USAID ” ჯანდაცვის სისტემის განმტკიცების პროგრამა”

ტელ: (995 32) 388 733, 388 734

სს „თიბისი ბანკი“ დაფუძნდა 1992 წ. და გამოირჩევა განვითარების წარმატებული ისტორიით. სტაბილურად ინარჩუნებს საბანკო სექტორში წამყვანი საფინანსო ინსტიტუტის პოზიციას. 2007 წელს თიბისი ბანკი საქართველოს ფარგლებს გასცდა და რეგიონალური განვითარება დაიწყო. ბანკის აქციონერები: IFC, DEG, EBRD, FMO, JP Morgan, Ashmore და ქართველი კერძო პირები.